ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.თბილისი 14 სექტემბერი 2017 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის" მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში, შპს "ეაკონ"-თან გასაფორმებელ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი

ტექნიკური ადმინისტრატორი ქეთევან ლებანიძე

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 14/09-3

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „14“ სექტემბერი 2017 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი“ ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ სსიპ **“თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი” დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ **შპს “ეაკონ” ს/კ 205230971** (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **1 ცალი ყვითელი ფერის საღებავისა (CPV-44810000) და 1 ცალი თეთრი ფერის ლაქ-სპრეის (CPV- 44820000) შესყიდვა.**

შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე (5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვა).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **16.00 (თექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მიაწოდოს შესყიდული საქონელი. საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ტექნიკური ადმინისტრატორი ქეთევან ლებანიძე.

6.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლს შორის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.5 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02% ოდენობით.

11.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. დავების გაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 15 ოქტომბრამდე.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:

სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი"
მის: შარტავას ქ. №7
ს/კ 205280177
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ TRESGE22

დირექტორი:

ეკატერინე მაზმიშვილი

(ბ.ა.)

მიმწოდებელი:

შპს "ეაკონ"
მის: წერეთლის 56
ს/კ 205230971
ს.ს "საქართველოს ბანკი"
ბ.კ BAGAGE22
ა.ა GE85BG0000000252593100

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „14“ სექტემბერი 2017 წ.

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი: ერთის მხრივ სსიპ **“თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი” მისი ტექნიკური ადმინსიტრატორის ქეთევან ლებანიძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს “ეაკონ” ს/კ 205230971** 2017 წლის 14 სექტემბერს ხელმოწერილი ხელშეკრულება **№14/09-3**-ის თანახმად ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა შემდეგი სახის საქონელი:

1 ცალი ყვითელი ფერის საღებავი (CPV- 44810000) და 1 ცალი თეთრი ფერის ლაქ-სპრეი (CPV- 44820000)

წინამდებარე აქტი ადასტურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას და წარმოადგენს დადგენილი ანაზღაურების გადახდის საფუძველს. საერთო თანხა შეადგენს **16.00 (თექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სსიპ “თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრთან” ხოლო მეორე შპს “ეაკონთან”.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ:

შემსყიდველი:

სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი”
მის: შარტავას ქ. №7
ს/კ 205280177
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ TRESGE22

მიმწოდებელი:

შპს “ეაკონ”
მის: წერეთლის 56
ს/კ 205230971
ს.ს “საქართველოს ბანკი”
ბ.კ BAGAGE22
ა.ა GE85BG0000000252593100

ტექნიკური ადმინისტრატორი:

ქეთევან ლებანიძე

(ბ.ა.)